საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მიხეილ ჯინჯოლიას* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	**88**	**100**

სახელი, გვარი: გიორგი გზობავა

თარიღი: 17.07.2025 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„ 17 “ ივლისი, 2025 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **მიხეილ ჯინჯოლიას**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველი კანდიდატის შერჩევის პროცედურა, წარსადგენი კანდიდატის შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 7 თებერვლის №1/22 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **მიხეილ ჯინჯოლია.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2025 წლის 30 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **მიხეილ ჯინჯოლიას** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, **მიხეილ ჯინჯოლია** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი), შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

მიხეილ ჯინჯოლია გამოირჩევა პრინციპულობით, შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, კომპეტენციით, პასუხისმგებლობით და მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საბანკო, საბიუჯეტო ან სხვა დავალიანების გადახდა და სხვ.) იგი ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები **მიხეილ ჯინჯოლიას** პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ასევე არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიკერძოებლობისადმი.

დასკვნა: ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

კომპეტენტურობის კრიტერიუმის შემადგენელი მახასიათებლის - სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ **მიხეილ ჯინჯოლია** სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სისხლის სამართალის ნორმებს, საპროცესო კანონმდებლობას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. კანდიდატი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის მსმენელი, ჯგუფში დაიკავა მე-13 ადგილი.

საჯარო მოსმენისას მან უმეტესწილად სწორი, კვალიფიციური და კომპეტენტური პასუხები გასცა სამარლებრივ საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად

განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის არაერთი სფეროს ირგვლივ.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მიხეილ ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

მიხეილ ჯინჯოლიას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის ოთხწლიანი გამოცდილება, ამჟამად არის თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე.

კანდიდატს გააჩნია ძალიან კარგი პროფესიული კომპეტენცია და საქმის გადაწყვეტის და დასაბუთების უნარი. მისი გადაწყვეტილებები არის მარტივად გასაგები, რომელიც ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მიხეილ ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.3. წერის უნარი</u>

მიხეილ ჯინჯოლიას მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი. კერძოდ, კანდიდატი წერილობით დოკუმენტებში ზედმიწევნით, პოპულარული ენით, შინაარსობრივად სწორად აყალიბებს და აანალიზებს მტკიცებულებებს. აღსანიშნავია, რომ იგი ახერხებს სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმას და მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემას.

მის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტებში ნათლად და ადვილად იკითხება დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, ნაკლებად ხმარობს რთულ წინადადებებს, ზედმიწევნით სწორად და საგნობრივად იყენებს სამართლებრივ ნორმებს და სამართლებრივი ნორმების ანალიზს, რაც ამ გადაწყვეტილების მკითხველს საშუალებას აძლევს მარტივად აღიქვას მასში განხილული სამართლებრივი საკითხები და ხელს უწყობს მისი მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემასა და გაგებას. შესწავლილ დოკუმენტებში რაიმე მნიშვნელოვანი ან თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომა, რაც გავლენას იქონიებდა დოკუმენტის შინაარსზე, ან სწორად გაგებაზე, გამოვლენილი არ ყოფილა.

<u>დასკვნა:</u> წერის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მიხეილ ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

მიხეილ ჯინჯოლიას აქვს გამართული მეტყველების უნარი. კანდიდატი საჯარო მოსმენისას მსჯელობდა არგუმენტირებულად და საკუთარ შეხედულებებს

გადმოსცემდა მშიდად, აუღელვებლად და გასაგებად. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატს გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.

<u>დასკვნა:</u> ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მიხეილ ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

<u>2.5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში)</u>

მიხეილ ჯინჯოლია გამოირჩევა ორგანიზებულობით, მიზანდასახულობით, კოლეგიალურობით და თავდაჯერებულობით. კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 100%-ია, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს - 96,3%.

სასამართლო დარბაზში საქმის განხილვისას არის მობილიზებული, მშვიდი, ნათლად და გასაგებად გადმოსცემს საკუთარ აზრს, მხარეებს პოზიციების წარმოდგენის თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს, არის ნეიტრალური და სტრესულ სიტუაციებში ინარჩუნებს სიმშვიდეს.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მიხეილ ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

<u>2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

მიხეილ ჯინჯოლია გამოირჩევა ცოდნის გაღრმავების და პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის ინტერესით, შესაბამისად, მუდმივად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ასევე მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან პუბლიკაციის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა, ასევე ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მიხეილ ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

<u>2.7. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმით **მიხეილ ჯინჯოლიას** შეფასებისას აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ინიციატივის გამოჩენის უნარი.

აღსანიშნავია, რომ **მიხეილ ჯინჯოლია** საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2024 წლის 24 მარტის დადგენილებით არჩეული იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად.

მიხეილ ჯინჯოლიამ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- 2022 წლის 4-5 ივნისი, ბაკურიანი, ევროპის საბჭოს (CoE) საპილოტე სემინარი - „სქესობრივი დანაშაული";
- 2022 წლის 23-24 ივლისი, კომპლექსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მიერ ერთობლივად ორგანიზებულ სემინარი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა";
- 2022 წლის 29-30 ოქტომბერი, კომპლექსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) სემინარი - „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე";
- 2023 წლის 15-17 მარტი, წინანდალი, სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული;
- 2023 წლის 7-9 აპრილი - დანაშაულისა და ძალადობის მოწმე ბავშვები - EU;
- 2023 წლის 1 და 2 ივლისი, კახეთი (სასტუმრო „ლოპოტას ტბა"), იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ევროპის საბჭოს ოფისისა (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით დაგეგმილი ტრენინგი - „სქესობრივი დანაშაული";
- 2023 წლის 20-22 ოქტომბერი, ლიკანი, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „სამოსამართლო ეთიკა";
- 2023 წლის 6-8 დეკემბერი, წინანდალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა;
- 2024 წლის 8 ივნისი, თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენინგი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცენდენტები)" და სხვა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მიხეილ ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **მიხეილ ჯინჯოლია** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **88** ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი